პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-11 წელი

№ 67 (878) | კვირა, 21 აგვისტო, 1955 წ. | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა ყურადღების ცენტრში

„მე გამაოცა გუნდში არსებულმა დისციპლინამ, გულითადმა მეგობრობამ, სიყვარულმა, რაც მთავარია, ისინი არ უხეშობდნენ, უაღრესად თავაზიანად ექცეოდნენ მოწინააღმდეგეს და ხმისამოუღებლად იღებდნენ მსაჯის შენიშვნებს". ასეთი შეფასება მისცა მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელთა გუნდს ლონდონის ერთ-ერთმა ცნობილმა რადიოკომენტატორმა.

რამ გააოცა ინგლისელი? დისციპლინამ, გუნდის წევრებს შორის არსებულმა მეგობრობამ, საბჭოთა ფეხბურთელთა თავაზიანობამ.

საბჭოთა სპორტსმენები დიდ გამარჯვებებს საერთაშორისო სარბიელზე სწორედ მაღალი დისციპლინით აღწევენ. დისციპლინაში იგულისხმება ყველაფერი — ამხანაგთან ურთიერთობა, სპორტული რეჟიმის მტკიცე დაცვა, კოლექტივის სიყვარული, შემდგომ დაოსტატებაზე განუხრელი ზრუნვა, გულშემატკივრებისადმი პატივისცემა. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რითაც საბჭოთა სპორტსმენებმა მსოფლიოს სპორტული დიდების მწვერვალები დაიპყრეს, გამარჯვების დაფნის გვირგვინები მოიპოვეს.

იქ, სადაც დისციპლინა მაღალ დონეზე დგას, სადაც კოლექტივი დარაზმულია ერთი მიზნისაკენ — გამარჯვების მოპოვებისათვის, წარმატება აუცილებელია. ეს ჭეშმარიტება ყველასათვის ცნობილია, ამას ასწავლიან ბავშვებს სკოლაში, ამის შესახებ სწერენ გაზეთები, მოუწოდებენ მწვრთნელები თავის აღსაზრდელებს. მიუხედავად ამისა ყოყოჩობის, ქედმაღლობის, ამხანაგის უპატივცემლობისა და ხულიგნობის—ბურჟუაზიული საზოგადოების ამ გადანაშთების რეციდივები ჩვენს ზოგიერთ სპორტსმენს დღემდე შემორჩა და ისინი დიდად აფერხებენ ფიზკულტურისა და სპორტის ნამდვილ წინსვლას.

ავიღოთ, მაგალითად ფეხბურთში საქართველოს პირველობის გათამაშება. იგი ყველაზე უფრო მასობრივი და ხანგრძლივი გათამაშებაა. ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, ფეხბურთი მეტად პოპულარული და აზარტული სპორტია, მრავალრიცხოვან მაყურებელს იზიდავს. ყოველივე ეს ჩვენ გვავალებს ყოველი მატჩისათვის წინასწარ მოვემზადოთ, გუნდებში ფართოდ გავშალოთ პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, მოვაწყოთ მოედანი, სტადიონზე წესრიგის დასამყარებლად დავრაზმოთ აქტივი. შეჯიბრება ისე დავამთავროთ, რომ კმაყოფილი დარჩეს მაყურებელი და შეხვედრის მონაწილე სპორტსმენები.

იმას ვერ ვიტყვით, რომ ეს მოთხოვნები რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე არც ერთ რაიონში არ სრულდებოდეს, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრგან დღემდე ადგილი აქვს აღმაშფოთებელ ფაქტებს. სამწუხარო კიდევ ის არის, რომ სტადიონებზე დებოშების, ხულიგნური შემთხვევების გამოვლენის ავტორები ხშირად გუნდების წარმომადგენლები, ან მათი კაპიტნები არიან.

დღევანდელ გაზეთში ჩვენ ვბეჭდავთ ვრცელ წერილს საქართველოს პირველობის გათამაშების მატჩებზე მომხდარ უმსგავსოებათა შესახებ. ამ საკითხზე ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა სათანადო დადგენილება მიიღო — დამნაშავენი დასაჯა. მაგრამ საქმე ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს. ახლა საჭიროა დადგენილება თვითეულ ფიზკულტურელამდე დავიყვანოთ, ხოლო ის ამხანაგები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, თავიანთი უხამსი საქციელით შეჯიბრება ჩაშალეს, შეურაცხყოფა მიაყენეს მსაჯს ან მოწინააღმდეგეს, გავკიცხოთ. მათზე უნდა იმსჯელოს კომკავშირულმა ორგანიზაციამ, ფიზკულტურულმა აქტივმა. თუ ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დროულად არ მიიღეს ზომები, ზოგიერთი რაიონი მთლიანად მოიხსნება გათამაშებიდან.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ფეხბურთის თამაშის წესები უნდა გააცნონ მაყურებლებს და გადამწყვეტი, სანიმუშო ზომები მიიღონ იმ თავაწყვეტილ გამოუსწორებელ მაყურებლების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთი ზედმეტი „განცდებით" განზრახ უშლიან ხელს თამაშის ნორმალურ მსვლელობას, ქმნიან პანიკას, რასაც მატჩის ჩაშლამდე მივყევართ.

არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავაყოლოთ გუნდს წარმომადგენლად შემთხვევითი ადამიანი. მის თავდაჭერილობასა და დისციპლინიანობაზე ბევრია დამოკიდებული. განსაკუთრებით მწვავედ უნდა დაისვას საკითხი გუნდის კაპიტნის შესახებ. ამ ბოლო ხანებში გუნდის კაპიტნის როლი მეტად შემცირდა. ხშირ შემთხვევაში მას მხოლოდ გუნდი გამოჰყავს მოედანზე. კაპიტანია გუნდის ბატონპატრონი მოედანზე და მოედნის გარეთაც. იგი უნდა სარგებლობდეს ავტორიტეტით, ამხანაგების სიყვარულით, მისი უნდა სჯეროდეთ. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევა იშვიათია. პირიქით, ხშირად თვითონ კაპიტნები არღვევენ წესრიგს. ამიტომ რაიონულმა ხელმძღვანელობამ გუნდის გაჯანსაღებისათვის პირველ რიგში კაპიტნის ავტორიტეტიან კანდიდატურაზე უნდა იზრუნოს.

ფეხბურთის გათამაშებაზე როცა ვლაპარაკობთ, სპორტის სხვა სახეობებიც გვაქვს მხედველობაში. იქაც მეტნაკლებად ადგილი აქვს ასეთ ფაქტებს. ყოველივე ეს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში ჩვენი სისუსტის შედეგია. ამიტომ მთელი ჩვენი ძალები უნდა დავრაზმოთ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენს რიგებში უღირს ელემენტებს. სამშობლოს სჭირდება კულტურული, განათლებული სპორტსმენები, რომლებიც ასახელებენ მას, გაამრავლებენ საბჭოთა სპორტის მიღწევებს.

მოტოციკლისტთა კროსი

მინსკის მიდამოებში ჩატარდა ჩვენი ქვეყნის პირად-გუნდური პირველობა მოტო კროსში. მარშრუტი საკმაოდ რთული იყო. მონაწილეებს უნდა გაევლოთ 21 კილომეტრიანი წრე — ქალებს — ორჯერ, ვაჟებს — ოთხჯერ.

სხვადასხვა კლასის მანქანებით შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდნენ მოსკოველი სპორტსმენები ნ. სუსოვა, ე. გლუხარევი, დ. ასტაფევი, ე. კოსმატოვი და ა. ობუხოვი. აბსოლუტური საუკეთესო დრო ჰქონდა ნ. სევასტიანოვს, რომელმაც 84 კილომეტრი 1:37.11,8-ში გაიარა. გუნდური პირველობა მოიპოვეს ლენინგრადელმა სპორტსმენებმა.

პროფკავშირთა V სპარტაკიადის დახურვა

19 აგვისტოს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში პროფკავშირთა V საკავშირო სპარტაკიადის საზეიმო დახურვაზე მრავალი მოსკოველი შეიკრიბა.

სპარტაკიადის შედეგების შესახებ სიტყვით გამოვიდა მთავარი მსაჯი ქ. ზაიცევი. პროგრამაში იყო სპორტის 12 სახეობა. პირველ ეტაპზე შეჯიბრებებში ჩაება 2 მილიონი სპორტსმენი, ფინალურ შეჯიბრებებში კი მონაწილეობდა 3.500 სპორტსმენი. შეჯიბრებებზე დამყარებული იქნა ერთი მსოფლიო და ერთი საკავშირო რეკორდი.

კომპლექსურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდნენ „ბურევესტნიკის" წარმომადგენლები. „ლოკომოტივმა" და „ზენიტმა" შესაბამისად დაიკავეს II-III ადგილები.

ფიზკულტურის კოლექტივთა შორის ცურვაში გამარჯვებული გამოვიდნენ ი. ბ. სტალინის სახელობის მოსკოვის საავტომობილო ქარხნის ფიზკულტურელები, მძლეოსნობაში — ლენინგრადის მანქანათმშენებელი ქარხნის სპორტსმენები, ველოსპორტში — ტულის მანქანათმშენებელი ქარხნის გუნდი.

აღსანიშნავია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელთა წარმატება, რომელმაც სპარტაკიადის ჩემპიონის სახელი მოიპოვა.

სპარტაკიადის დახურვისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ა. შევჩენკომ, რომელმაც საკავშირო პროფსაბჭოს სახელით მადლობა გადაუხადა სპარტაკიადის მონაწილეებს, მსაჯებს, ორგანიზატორებს.

• • •

სურათებზე: პროფკავშირთა V სპარტაკიადის ფინალური შეჯიბრება. ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში გამარჯვებული კიეველი ლ. ბარტენევი („ბურევესტნიკი") ფინიშთან.

ფოტო ლ. დორენსკისა.

სააგიტაციო მოტოგადარბენა

მოტოციკლისტთა რესპუბლიკური გადარბენის მონაწილეებმა ღამე თელავში ვერ გავათიეთ. რადგან ცუდი ბუნებრივი პირობების გამო სვლა გვიჭირდა, გრაფიკი დაირღვა. სპორტსმენებს მეტად ძნელი ტრასის გავლა უხდებოდათ. 16 აგვისტოს ღამისთევა თიანეთში მოგვიხდა. მეორე დილით გორისაკენ ავიღეთ გეზი. ავჭალისა და მცხეთის გავლის შემდეგ საღამოს 8 საათზე ჩავედით გორში. გადარბენის მონაწილეთა სურვილით, გრაფიკის გამოსწორებისათვის, გზა განვაგრძეთ დასავლეთისაკენ. ხაშურში დაღამდა. გადავლახეთ სურამის გადასავალი, გავიარეთ ზესტაფონი და ღამის 3 საათზე ქუთაისში ჩავედით. ჩამორჩენა გამოსწორებულია. 18 აგვისტოს 4 საათსა და 30 წუთზე დავიძარით. ქალაქში საპატიო წრის გაკეთების შემდეგ სამტრედიისაკენ წავედით. ქუთაისში ორი ადგილობრივი მოტოციკლისტი შემოგვიერთდა. ძლიერი ქარის გამო გვერდი ავუარეთ მაიაკოვსკისა და ვანის რაიონებს. სამტრედიაში ახალ დაბრკოლებას წავაწყდით. ავარიის გამო მწყობრიდან გამოვიდა ჯ. გელაშვილის მანქანა, დანარჩენებმა გავიარეთ აბაშა, ცხაკაია, ხობი, ზუგდიდი, გალი და ღამის 11 საათზე ოჩამჩირეში ვიყავით. აქვე მოეწყო მორიგი ღამის თევა.

მეექვსე ეტაპი გაგრისაკენ მიემართებოდა. ყველა რაიონულ ცენტრში, სოფლებსა და ქალაქებში გადარბენის მონაწილეებს მხურვალედ მოგვესალმებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობა. სოხუმსა და გაგრაში წინ შეგვეგება სპორტსმენთა დელეგაციები.

გუშინ გაგრაში ვისვენებდით. ჩავატარეთ საუბრები ადგილობრივ მოსახლეობასთან, დამსვენებლებთან.

ა. ხუჭუა.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

რიგის სასახლეში

რიგის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში გაიხსნა საბჭოთა კავშირის 1955 წლის გუნდური პირველობა ჭადრაკში მოსწავლეთა შორის. ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის გარდამავალ ჯილდოზე ერთმანეთს ეჯიბრებიან მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები. თვითეული გუნდი დაკომპლექტებულია 8 ჭაბუკისა და 4 გოგონასაგან.

პირველობა ტარდება ორ ჯგუფად. საქართველოს ჯგუფში გამარჯვებისათვის იბრძვიან (კენჭისყრის მიხედვით) ბელორუსიის, ლატვიის, უკრაინის, ლენინგრადის, ლიტვის, რსფსრ-ს (გასული წლის ჩემპიონი), მოსკოვის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის გუნდები.

პირველ ტურში საქართველოს გუნდი, რომლის შემადგენლობაში გამოდიან გ. მაჭავარიანი, ი. ვეტოხინი, გ. კალატოზიშვილი, დ. ჯანოევი, ვ. სმირნოვი, ვ. კაჭარავა, თ. ლომაია, მ. თხელიძე, მ. ტოგონიძე, ნ. გაფრინდაშვილი, მ. სტატნიკოვა და გ. ბუცხრიკიძე შეხვდა ლენინგრადის ნაკრებ გუნდს. პირველ დღეს 12 პარტიიდან დამთავრდა მხოლოდ 6. გ. მაჭავარიანმა ზუსტი თამაშით დაამარცხა ს. კოროლიოვი, მ. ტოგონიძემ და ნ. სტატნიკოვამ ძლიეს ფ. დიმიტრიევასა და ე. შეიმანს, ხოლო კალატოზიშვილმა როტკინს, ლომაია დამარცხდა მორდვინოვთან შეხვედრაში. ბუცხრიკიძე-ივანოვას შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. გადადებული პარტიების დამთავრებისას ლენინგრადელებმა ყაიმს (6:6) მიაღწიეს. მეორე ტურში საქართველოს მოჭადრაკეებმა დიდი ანგარიშით — 11:1 დაამარცხეს ლატვიელები, ლენინგრადმა ძლია მოსკოვს — 6,5:5,5.

მესამე ტურში მაყურებელთა ყურადღების ცენტრში იყო გასული წლის ჩემპიონის რსფსრ-სა და საქართველოს მოჭადრაკეთა შეხვედრა, რომლის შედეგია 6:5 საქართველოს გუნდის სასარგებლოდ და ერთი მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია.

საქართველოს სპორტსმენებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს მეოთხე ტურში აზერბაიჯანთან შეხვედრაში. ამ დღეს მათ მოიპოვეს 8.5 ქულა. მეხუთე ტურში საქართველოსა და მოსკოვის გუნდების შეხვედრის ანგარიშია 5,5:5,5 და ერთი საქართველოსათვის მოსაგებ მდგომარეობაში გადადებული პარტია.

ვ. ქარსელაძე,

საქართველოს გუნდის მწვრთნელი.

გეტებორგის ტურნირი

გეტებორგის საზონათშორისო ტურნირის პირველ დღეს ყველა შეხვედრა მწვავე ხასიათს ატარებდა. ხუთ საათიანი ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრდა სპასკი-საბოს (უნგრეთი) შეხვედრა. ჩეხი მოჭადრაკეების პახმანისა და ფილიპის პარტიის დასაწყისშივე გამოირკვა საყაიმო მდგომარეობა. ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონმა ბისჰაიერმა გაბედული შეტევების შემდეგ არგენტინელ ნაიდორფის მეფეზე იერიშის შანსი მიიღო. პარტია გადაიდო. გადაიდო აგრეთვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონ გელერ-სლივასა (პოლონეთი) და კერეს-დონერის (ჰოლანდია) პარტიები. საბჭოთა ოსტატმა ილივიცკიმ კარგად გამოიყენა მოპოვებული უპირატესობა და დაამარცხა დასავლეთ გერმანელი გროსმაისტერი უნციკერი. არგენტინელი გიმარი დამარცხდა ვენესუელელ მედინთან შეხვედრაში. იუგოსლაველი ოსტატების რაბარ-ფუდერერისა და არგენტინელების პანო-პილნიკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.

მეორე ტურში დასავლეთ გერმანელმა გროსმაისტერმა უნციკერმა კიდევ ერთი დამარცხება განიცადა საბჭოთა გროსმაისტერთან შეხვედრაში. ამ დღეს მისი მოწინააღმდეგე იყო ბრონშტეინი. დონერმა დასაწყისში ერთგვარი უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მე-17 სვლაზე დაუშვა უხეში შეცდომა, დაკარგა ხარისხი და სპასკს საშუალება მისცა 33-ე სვლაზე შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. მედინი დამარცხდა ფუდერერთან, სლივა-ილივიცკისთან. საბო-გელერის, ფილიპ-რაბარისა და გიმარ-ბისჰაიერის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ამ ტურში ყურადღების ცენტრში იყო საბჭოთა გროსმაისტერების პეტროსიანისა და კერესის შეხვედრა, რომელიც მწვავედ მიმდინარეობდა. მოწინააღმდეგენი ბევრ დროს ანდომებდნენ სვლების მოფიქრებას. პეტროსიანმა ვერ გამოიყენა იერიშის პერსპექტივა და მოწინააღმდეგეს ყაიმზე შეუთანხმდა.

გადადებული პარტიების გათამაშებისას ბისჰაიერა დანებდა ნაიდორფს, ხოლო ნაიდორფი თავის მხრივ დანებდა თანამემამულე პანოს. კერესმა ჰოლანდიელ დონერთან შეხვედრაში ვერ მონახა მოგების სწორი გზა და იძულებული შეიქმნა ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. გელერმა ზუსტი თამაშით სლივას ჯერ პაიკი, ხოლო შემდეგ პარტიაც მოუგო.

მესამე ტურში თამაშის დაწყებიდან 11 და 13 სვლებზე ყაიმით დამთავრდა რაბარ-შტალბერგისა და პახმან-უნციკერის პარტიები. 24-ე სვლაზე ყაიმი იქნა ფიქსირებული აგრეთვე საბჭოთა მოჭადრაკეების სპასკისა და პეტროსიანის შეხვედრაში. იუგოსლაველმა ოსტატმა ფუდერერმა ბრწყინვალედ ჩაატარა პარტია ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონ ბისჰაიერთან და ლაზიერის შეწირვით გამარჯვება მოიპოვა. ბრონშტეინმა მოუგო სლივას, პანომ—გიმარს, გელერ-დონერისა და ილივიცკი-საბოს პარტია ყაიმით დამთავრდა.

მეორე ტურში ყაიმით დამთავრდა პეტროსიან-გელერის, საბო-ბრონშტეინის, დონერ-ილივიცკისა და ფილიპ-ბისჰაიერის შეხვედრები. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ავლაგმოთ უდისციპლინო ფეხბურთელები

დამთავრდა თამაში. მსაჯმა კეკელიამ ხელი მოაწერა ოქმს. გრაფაში, მსხვილი ასოებით დაწერილ ონის გასწვრივ იდგა ციფრი 4. მოპირდაპირე მხარეს, ცაგერის გუნდს ეწერა 0. მატჩის შედეგი ეჭვს არ იწვევდა. ონელი ფეხბურთელები მართლაც ცაგერლებზე ძლიერად გამოიყურებოდნენ. მათ ოთხი მშრალი ბურთი გაიტანეს. მაყურებლები დიდხანს გულდასმით მსჯელობდნენ ჩატარებული თამაშის გარშემო, იხსენებდნენ ცალკეულ მომენტებს, ადგენდნენ მომავლის გეგმებს. მიიწურა ფეხბურთში რესპუბლიკური ჩემპიონატის მორიგი კალენდარული დღე. თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივ მიდიოდა, მაგრამ...

არაჩვეულებრივი დაიწყო მეორე დღესვე. დილით ადრე ცაგერელ ფეხბურთელებს სახეზე შეშფოთება დაეტყოთ.

— ნუთუ მართლა წავაგეთ თამაში? — ნერვიულად ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს! სირცხვილით თავი როგორ უნდა გამოვყოთ. არა! მსაჯი რომ სხვა ყოფილიყო, მაშინ მატჩის შედეგი უთუოდ სხვა იქნებოდა. უკვე ბრაზმორეულმა მოთამაშეებმა ყველაფერი მსაჯს გადააბრალეს. საკუთარი უსუსურობის სხვაზე გადაბრალება ადვილი საქმეა. გაცილებით უფრო ძნელია ბრალდების დამტკიცება და „მსაჯის არაობიექტურობით“ გულდამწვარმა ცაგერლებმა დაიწყეს გამოსავლის ძებნა. პირველ რიგში მათ ღვინოს მიმართეს, რადგან ნაბახუსევზე გონება უფრო „ინტენსიურად“ მუშაობს. რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა საერთო საჩუმეში ომახიანად დასძახა.

— არის, მივაგენი!

და მეგობრებს ჩურჩულით გაანდო თავისი გეგმის წვრილმანები. მალე ცაგერის მთელი გუნდი საბრძოლო მზადყოფნაში, გზატკეცილთან იყო ჩასაფრებული. ცოტა ხანში გზაზე მანქანა გამოჩნდა. მოახლოვებულ ტრანსპორტს ფეხბურთელებმა ალყა შემოარტყეს და დაატყვევეს იგი. სანამ მძღოლი და მგზავრები, გაკვირვებით და ოდნავ შიშითაც კი უყურებდნენ ერთმანეთს, მოლაშქრეებმა გუშინდელი შეხვედრის მსაჯი კეკელია „დაატყვევეს“ და მახლობელ სახლში გააქანეს.

შემდეგ ყველაფერი წარიმართა ისე, როგორც ის კინოში ან დეტექტიურ ნოველაში ხდება. ფიზიკური ზემოქმედების (შეიძლება უფრო მეტისაც კი) მუქარის ქვეშ კეკელია მორჩილად წერდა არზას იმის შესახებ, რომ მან არ იცის მსაჯობა, რომ მას ჯავრი ჰქონდა ცაგერლების და რომ მან, კეკელიამ, განგებ წააგებინა „საწყალ“ ცაგერლებს თამაში.

აქ შეიძლებოდა წერტილი დაგვესვა თხრობისათვის და შემდეგ მკაცრად გაგვეკრიტიკებინა მომხდარი ინციდენტის სულისჩამდგმელები, რომ იგი ერთადერთი, გამონაკლისი ფაქტი ყოფილიყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს რაიონებში სპორტის არც ერთი სახეობა არ სარგებლობს ისეთი პოპულარობით, როგორც ფეხბურთი. რესპუბლიკის პირველობაზე ყველა კალენდარული მატჩი მნიშვნელოვანი მოვლენაა რაიონის სპორტულ ცხოვრებაში. ხშირად თამაშებს ასობით გულშემატკივარი ესწრება მეზობელ ქალაქებიდან ეს ყველაფერი კარგი და მისასალმებელია. ფეხბურთი მართლაც საინტერესო, მიმზიდველი თამაშია და იგი ღირსია ჰყავდეს ბევრი გულშემატკივარი, მაგრამ, რასაკვირველია, არა ისეთები, როგორც ცხაკაიაშია. უფრო სწორად ჩვენ ლაპარაკი გვაქვს „გულშემატკივართა“ ერთეულებზე, რომელთაც ხულიგნების სახელი უფრო შეშვენით.

... ცხაკაიას „სპარტაკისა“ და სამტრედიის „ლოკომოტივის“ თამაში გადამწყვეტ ფაზაში იყო შესული. სპორტული ბრძოლის პერიპეტიებით გატაცებული მაყურებელი მხურვალედ განიცდიდა თამაშის ყოველ მომენტს. ტრიბუნიდან ისმოდა გამამხნევებელი შეძახილები, სასოწარკვეთილი ხმები, ისმოდა ტაშიც. მსაჯი სომხიშვილი მთელი გულისყურით ჩაბმული იყო თამაშის მსვლელობაში. მოულოდნელად მან იგრძნო, რომ ფეხზე შემოერკალა რაღაც მკვრივი საგანი, შემდეგ უხილავმა ხელმა ძლიერად დაქაჩა ჯოხს (მკვრივი საგანი ბოლომოკაუჭებული გრძელი ჯოხი გამოდგა) და მსაჯი მიწაზე დაეცა. იმავე წუთში უხილავმა ხელმა დაცემულ „მსხვერპლს“ ჯოხი გადაამტვრია ზურგზე. მსაჯს გული წაუვიდა. საჭირო გახდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. თამაში ჩაიშალა. ხულიგანი მიიმალა. ამ აღმაშფოთებელ ინციდენტს გულდამშვიდებით ადევნებდნენ თვალს ადგილობრივი მილიციის მუშაკები...

სამწუხაროდ, ამდაგვარი უმსგავსოებანი ცხაკაიას სტადიონზე ხშირად ხდება. გასულ წელს მაყურებელთა უწესო საქციელის გამო ჩაიშალა შეხვედრა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხნის გუნდთან. წელს კი ქუთაისის „ტორპედოსთან“ თამაშის შემდეგ მაყურებელთა ზედმეტად ექსპანსიურმა ნაწილმა მსაჯი ბუაძე ჩაკეტა სამსაჯო ოთახში და მოითხოვდა მისგან თავისი მსაჯობის უარყოფას.

აი კიდევ ერთი ფაქტი. საქმე ეხება გარდაბნის ნაკრებისა და კასპის „სტროიტელის“ შეხვედრას. გარდაბნელი პირიევი თავის ტექნიკურ უვიცობას, უხეშობით ავსებდა. მსაჯის არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, პირიევი თავს არ ანებებდა უმსგავსოებას და მსაჯმა სავსებით სამართლიანად გააძევა იგი მინდვრიდან. ამან მეტად აღაშფოთა გარდაბნელი ხულიგანი. იგი მივარდა მსაჯს და შემოახია ტანსაცმელი, შემდეგ მუშტებიც მოუქნია. წონასწორობიდან გამოსული ფეხბურთელი არც ამას დასჯერდა. მან მოინდომა „უსამართლო“ მსაჯის სამაგალითოდ დასჯა. ამ მიზნით ხელი სტაცა კისერზე თოკით ჩამოკიდებულ სასტვენს და მაგრად მოქაჩა, თოკი გამძლე გამოდგა, არ გაწყდა და პირიევს ამ მოძრაობის ხელახლა გამეორება მოუხდა. ყველაფერი ეს ძვირად დაუჯდა მსაჯს—თოკის ნაკვალევი წითლად ემჩნეოდა მის კისერს. პირიევი კიდევ დიდხანს ბობოქრობდა.

თუ ფეხბურთელების ერთი ნაწილი უმთავრესად „მსაჯთა ჭკუისდამრიგებლების“ როლში გამოდიან, მეორენი მოწინააღმდეგეს უწმაწური სიტყვებით მიმართავენ, ანდა დემონსტრატიულად ტოვებენ მოედანს. ჩხოროწყუ-ქიათურის გუნდების შეხვედრაში ჩხოროწყუს ფეხბურთელთა კოლექტივის კაპიტანი შ. კვარაცხელია მსაჯმა გააძევა მოედნიდან უწმაწური სიტყვა-პასუხისათვის. ამ, ვითომდა, უსამართლო გადაწყვეტილების საპასუხოდ ჩხოროწყუს გუნდმა „კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს თავმჯდომარის გაბედავას (გუნდის წარმომადგენელი) და შ. კვარაცხელიას მითითებით, დემონსტრატიულად დატოვა მოედანი.

ხობში, ადგილობრივი ნაკრების და ზუგდიდის „დინამოს“ თამაშზე დასასწრებლად ზუგდიდიდან ფეხბურთის ბევრი მოყვარული ჩამოვიდა, მათ შორის ზუგდიდის სტადიონის დირექტორი ხვიტია, რომელმაც „უცხო ქალაქში“ თავისი გუნდის მფარველობა იკისრა. ამ მიზნით მან ალკოჰოლის საკმაოდ დიდი დოზა მიიღო და მთელი თამაშის განმავლობაში ლანძღვით აიკლო მსაჯი. მსგავსი ფაქტების მოყვანა შეიძლება დაუსრულებლად, მაგრამ ესეც კმარა ერთი, მეტად ადვილად მისახვედრი დასკვნის გასაკეთებლად — ფეხბურთელთა გუნდებში ძალზე სუსტადაა დაყენებული პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა, ამის გამო მოთამაშეები თვითნებობენ, უხეშობენ და ყოველ ნაბიჯზე ჩადიან საბჭოთა სპორტსმენისათვის შეუფერებელ საქციელს.

• • •

ამას წინათ ფიზკულტურის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა აღნიშნული მდგომარეობის შესახებ და დაამტკიცა ფეხბურთის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება.

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის სხდომამ დაადგინა: „კოლმეურნის“ რესპუბლიკური საბჭოს წინაშე დაისვას საკითხი „კოლმეურნის“ ჩხოროწყუს რაიონული საბჭოს თავმჯდომარე გაბედავას მოხსნის შესახებ. პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ჩაშლისათვის საყვედური გამოეცხადა ჩხოროწყუს ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს ყურუას. ფეხბურთელი ვ. პირიევი (გარდაბანი) და დ. ლორთქიფანიძე (ვანი) დისკვალიფიცირებულ იქნენ სამუდამოდ. ზუგდიდის სტადიონის დირექტორის ხვიტიას საქმე გადაეცა ზუგდიდის რაიაღმასკომს ზომების მისაღებად.

კომიტეტმა მსაჯთა რესპუბლიკურ კოლეგიას დაავალა გადასინჯოს პირველობის მომსახურე მსაჯთა სია, გადამჭრელი ზომები მიიღოს მსაჯობის ხარისხის ამაღლებისათვის, თამამად დააწინაუროს ახალგაზრდა მსაჯები, რომლებმაც მატჩების ზუსტად ჩატარებით თავი გამოიჩინეს.



როცა გუნდში თერთმეტი კაპიტანია.
(ნახატი ამოღებულია ბულგარული გაზეთიდან).

კინო

„აჩრდილები ტოვებენ მწვერვალებს“

საბჭოთა მაყურებელი სამართლიან მოთხოვნას უყენებს ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს — საბჭოთა სპორტზე შექმნან მხატვრული ფილმები, რომლებშიც ასახულ იქნება ჩვენი სპორტსმენთა სისხლსავსე ცხოვრება, მათი თავდადებული ბრძოლა მსოფლიო მწვერვალების დაპყრობისათვის.

ერევნის კინოსტუდიამ ხელი მოჰკიდა რა ახალი ფერადი მხატვრული ფილმის—„აჩრდილები ტოვებენ მწვერვალებს“ — შექმნას, მიზნად დაისახა მაყურებლისათვის მიეწოდებინა საბჭოთა გეოლოგებისა და ალპინისტების სიმამაცის, თავდადების და სამშობლოს კეთილდღეობისათვის უანგარო სიყვარულის ამსახველი ნაწარმოები.

ფილმი სათავგადასავლოა. კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორ ირკვევა ადამიანის ბუნება, მისი ღირსებები და ნაკლოვანებანი რთულ ალპინისტურ ლაშქრობებში ნათლად არის ნაჩვენები კოლექტივის აღმზრდელობითი როლი.

ფილმის სიუჟეტური განვითარება ასეთია:

მთა კარმირ-სარის მწვერვალები იშვიათი ლითონის აურაცხელ მარაგს შეიცავს, მისი არსებობის შესახებ დიდი ხანია იცის საზღვარგარეთის კონცერნის მეთაურმა, რომელიც მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიურად უშვებს ამ ღირსშესანიშნავ ლითონს, მან ვერაგული გზით ჯერ კიდევ რევოლუციამდე შეძლო დაეფარა ამ მთის საიდუმლოება. იგი გებულობს, რომ საბჭოთა ალპინისტებმა გადაწყვიტეს ავიდნენ მთა კარმირ-სარის მწვერვალზე. მას მოსვენებას არ აძლევს ფიქრი იმის შესახებ, რომ მწვერვალის დაპყრობის შემთხვევაში აღმოჩენილ იქნება მთის საიდუმლოება. მონოპოლისტებმა ჯერ კიდევ ომის წლებში საბჭოთა კავშირში შეგზავნილი აგენტის საშუალებით გადაწყვიტეს ჩაფუშონ საბჭოთა ალპინისტების მაღალმთიანი ლაშქრობა. ღებულობს რა თავის შეფებისაგან საჭირო მითითებებს, იგი შეიპარება ექსპედიციის წევრთა რიგებში და თავს ალპინიზმის გამოცდილ ოსტატად გაასაღებს. სახელმწიფო უშიშროების ორგანოები უკვე დიდი ხანია უთვალთვალებენ დაქირავებული აგენტის საქმიანობას, რომელიც „ღამის პეპელას“ სახელწოდებითაა ცნობილი. კვანძი მხოლოდ ფინალში იხსნება, როდესაც საბჭოთა მზვერავის დახმარებით ნიღაბახსნილი აგენტი „ღამის პეპელა“ ღირსეულ სასჯელს ღებულობს.

ასეთია მოკლედ ფილმის სიუჟეტური ქარგა.

რეჟისორის, ოპერატორისა და მსახიობთა კოლექტივის დამაჯერებელმა, შემოქმედებითმა მუშაობამ განაპირობა ფილმის წარმატება. დასამახსოვრებელ სახეებს ქმნიან მსახიობები: ს. სოსიანი (არტაშეს მალიანი), ა. კარაპეტიანი (ბაგრატი), ვ. იუტუჯიანი (გაიანე), ვ. ფაფაზიანი (დანიელ-ბეკი), ვ. ტიაგუშევი (როსტოვცევი), ლ. კმიტი („ღამის პეპელა“), გ. ნერსესიანი (ვაჰანი) და სხვები.

მოწონებას იმსახურებს ფილმის მთავარი ოპერატორის ჟ. დილდარიანის ნამუშევარი.

ფილმი დაზღვეული არ არის ხარვეზებისაგან, რომლებიც ნაწილობრივ ჩრდილს აყენებს ღირსებებს და მხატვრულ დონეს. ფილმში ნაკლებად არის დაცული ალპინიზმის —სპორტის ამ საინტერესო სახეობის ნორმები და წესები, იგრძნობა რომ მსახიობთა კოლექტივთან არ ყოფილა საჭირო მუშაობა ჩატარებული, რათა მათ შემოქმედებითად აეთვისებიათ სპორტის ეს სახეობა. ხშირად ვხვდებით მაგალითებს, როდესაც მსახიობები სწორად ვერ იყენებენ ალპინისტურ ხელსაწყოებს. არ არის სიზუსტე დაცული თავდაცვის ხერხების გამოყენებაში.

ვერ დავეთანხმებით ფილმის ავტორებს მოქმედ პირთა ჩაცმულობაში. ჭრელი ტანსაცმლის ჭარბი გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ სინამდვილის შელამაზებით აიხსნება და მეტი არაფრით, მით უფრო ყველასათვის ნათელია, რომ ალპინისტი მაღალმთიანი ლაშქრობისას აუცილებელი ნივთების წაღებით კმაყოფილდება და არა მთლიანი გარდერობის ტარებით.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებისა ფილმი — „აჩრდილები ტოვებენ მწვერვალებს“ ერევნის კინოსტუდიის შემოქმედებითი წარმატებაა. მისასალმებელია ის ვარემოება, რომ აღნიშნულმა სტუდიამ მიმართა სპორტულ თემატიკას, რომელიც საბჭოთა მაყურებელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ვ. ნინიძე,
აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი.

ფერადი მხატვრული ფილმი. სცენარი ე. კარამიანის და გ. კოლტუნოვის. დადგმა ხ. კევორქოვის და ე. კარამიანის, მთავარი ოპერატორი ჟ. დილდარიანი. მხატვრები: არუტჩიანი და ვ. პოდპომოგოვი, კომპოზიტორი ა. არუთინიანი. ერევნის კინოსტუდიის ნაწარმოები, 1955 წ.

სპორტულ საზოგადოებების ქართულ სახელწოდებათა შესახებ

„ლელოს“ 27 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული იყო რ. თვარაძის წერილი „ტერმინოლოგიის ერთიანი პრინციპისათვის“, რომელიც ეხება ქართულ სპორტულ ტერმინოლოგიას, კერძოდ, სპორტულ საზოგადოებათა ქართულ სახელწოდებებს. წერილის ავტორი შენიშნავს, რომ დღესდღეობით არა გვაქვს ერთგვარობა: სპორტსაზოგადოებათა სახელების ერთი წყება რუსულიდან თარგმნილია, ხოლო უმეტესობა გადმოღებულია უთარგმნელად. წერილში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ყველა სახელწოდება უნდა ითარგმნოსო.

მართლაც, რა საჭიროა რომ სპორტსაზოგადოებათა სახელწოდებებში ამგვარი აღრევა გვქონდეს. ჩვენი ენის ლექსიკა იმდენად მდიდარი, სიტყვის საწარმოებელი ელემენტები იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ ყოველთვის შეიძლება სხვა ენის სიტყვასა თუ გამოთქმას მარჯვე შესატყვისი მოვუძებნოთ.

თანამედროვე ქართული ენის გამდიდრების ერთ-ერთი წყარო სწორედ რუსულში არსებულ თუ ახლადგაჩენილ სიტყვათა და გამოთქმათა გადმოქართულებაა.

უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში რუსულიდან თარგმნის შედეგად შეიქმნა (და დამკვიდრდა) ისეთი სიტყვები და გამოთქმები, როგორიცაა: ავტოსარწყულებელი (автополивка), კვადრატულ-ბუდობრივი რგვა (квадратно-гнездовая посадка) და ა. შ.

ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ სავსებით შესაძლებელია და მიზანშეწონილი ყველა სპორტსაზოგადოების სახელწოდების თარგმნა.

სწორად მიგვაჩნია რ. თვარაძის მიერ მოცემული თარგმნები გარდა ერთისა: „საბჭოეთის ფრთებს“ ემჯობინება „საბჭოების ფრთები“, ეს უკანასკნელი უფრო ზედმიწევნით გადმოსცემს „Крылья Советов“-ის შინაარსს.

უსაფუძვლო უნდა იყოს წერილში გამოთქმული შიში, რომ ესა თუ ის სახელწოდება — კერძოდ, „საბჭოეთის ფრთები“ (ჩვენი წინადადებით — „საბჭოების ფრთები“) — ძნელი დასამკვიდრებელი იქნებაო, ანდა ზოგი მათგანი ლაკონიურობას იქნება მოკლებულიო (წერილის ავტორს მხედველობაში აქვს ორსიტყვიანი „კვების მუშაკი“ რუსულ „Пищевик“-ის შესატყვისად); განა ორსიტყვიანი არ არის ქართული „შრომითი რეზერვები“, ანდა რუსული „Трудовые резервы“ და Крылья Советов“, რომლებიც დღეს არავის ეხამუშება?

ჩვენი აზრით, დროა შემოვიღოთ ყველა სპორტული საზოგადოებისათვის სათანადო ქართული სახელწოდებანი და რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი.

მ. ჭაბაშვილი.
ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს სიჭაბუკის ზეიმი

◆

ო. კანდელაკი,

სპორტის ოსტატი, ფესტივალის ჩემპიონი.

◆

მოსკოვიდან დაწყებული ვარშავამდე ჩვენი გზა სიხარულის, ბედნიერების, სიმღერისა და ყვავილების გზა იყო. პოლონეთის მოსახლეობა გულითადად ეგებებოდა საბჭოთა მგზავრებს. გზატკეცილის გასწვრივ ხშირად დიდძალი ხალხი იყრიდა თავს, ჩვენი კოლონა ჩერდებოდა და იქვე, გზის პირას იმართებოდა ხელდახელო კონცერტები სტუმარ-მასპინძელთა საერთო მონაწილეობით, ხანდახან გაჩნდებოდა ბურთიც და მაშინ მანქანები კარგა ხნით ისვენებდნენ.

დაღამდა, შორიდან გამოჩნდა გაჩირაღდნებული ვარშავა და მისი მშვენება — სტალინის სახელობის კულტურის სასახლე. შევედით ქალაქში. ჩვენი ავტობუსები ძლივს მიიკვლევდნენ გზას ზღვა ხალხში, ქალაქის ტრანსპორტი ჩერდებოდა და გზას გვითმობდა. სტუმართმოყვარე ვარშაველები ხალისიანი და კეთილმეზობლური შეძახილებით გვხვდებოდნენ, მანქანების ღია ფანჯრებში ცვიოდა ყვავილების კონები.

ყველას ერთი რამ მოგვხვდა თვალში: ომის დაღი ჯერ კიდევ აჩნევია პოლონეთის დედაქალაქს — რამდენიმე ადგილას ვნახეთ შენობათა ნანგრევები, მაგრამ ვარშავა შენდება — შენდება დღეც და ღამეც. ღამის 11 საათი იყო, როცა ქალაქში შევედით, მაგრამ ხარაჩოებზე მუშაობა დუღდა.

მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ მშვიდობისა და კაცთმოყვარეობის წარგზავნილები ვარშავის ფესტივალზე. მათ ჩამოიტანეს თავისი ხალხების ურყევი ნება-სურვილი, — შენარჩუნებულ იქნას მშვიდობა, აღარ განმეორდეს ომის საშინელებანი.

საბჭოთა დელეგაცია ქალაქგარეთ, წარმტაც მიდამოებში მოთავსდა. დაბინავების დღიდან არ შეწყვეტილა ტელეფონის რეკვა ჩვენს შტაბში. რეკავდნენ რიგითი ვარშაველები, გვეკითხებოდნენ კარგად მოვთავსდით თუ არა, ხომ არ გვაკლია რამე?

30 ივლისი საწვრთნელი დღე იყო. მოჭიდავეები, მძლეოსნები, შტანგისტები, კალათბურთელები გაიშალნენ მთელს ბანაკში და ყველა თავის სახეობაში ვარჯიშობდა. საღამოს რეპეტიცია ჰქონდათ მომღერლებს, მოცეკვავეებს, მუსიკოსებს. დილას ისინი ერთობოდნენ ჩვენი წვრთნის ყურებით, საღამოს ჩვენ ვისიამოვნეთ მათი ცქერით და მოსმენით.

გათენდა 31 ივლისი. აურაცხელი ხალხი გაემართა „ათიწლისთავის" გიგანტური სტადიონისაკენ, რომელიც პოლონეთის ახალგაზრდობამ 11 თვეში ააგო სპეციალურად ფესტივალისათვის. სტადიონზე შემსვლელთათვის თავისებური „ბილეთები" იყო დამზადებული — ახალგაზრდებს კისერზე ჰქონდათ შემოხვეული ცხვირსახოცები ფესტივალის ემბლემებით, ყოველ მათგანს ეწერა ნომერი სტადიონის სექტორის აღნიშვნით. ყოველ მაყურებელს ხელში ეჭირა: ალამი, ყვავილები, მტრედი, ფერადი ბუშტები. სტადიონი ათასფრად ელავდა, კიაფობდა.

ზეიმს დაესწრნენ ბ. ბერუტი, ა. ზავადსკი, ი. ცირანკევიჩი, კ. როკოსოვსკი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწენი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთში, 600-ზე მეტი უცხოელი ჟურნალისტი.

დაიწყო პარადი. მე, სხირტლაძე, ცალქალამანიძე და სხვები ამჯერად პარადში არ ვღებულობდით მონაწილეობას და ტრიბუნაზე ვისხედით მაყურებელთა შორის, ამიტომ მთელი მისი მსვლელობა ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა. ჯერ აღმოსავლეთის მხრიდან გამოჩნდნენ თეთრებში გამოწყობილი ჭაბუკები, გაისმა ფანფარების ხმა. მწვანე მოედანზე შემოვიდა ახალგაზრდობის კოლონა, რომელსაც ხელში ეჭირა ასობით ცისფერი დროშა, ყვავილებით მოწნული სიტყვები „მშვიდობა", „მეგობრობა". სარბენ ბილიკზე ალფავიტის მიხედვით გამოჩნდნენ სახელმწიფოთა დელეგაციები. ყოველი მათგანის გამოჩენას ტაშის გრიალით ეგებებოდნენ მაყურებლები, მაგრამ განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ დამსწრენი საბჭოთა კოლონის გამოჩენას. ჩვენ, ამჯერად მაყურებელთა როლში მყოფი საბჭოთა ქვეყნის სპორტსმენები, რაღაც ზებუნებრივი გრძნობით ვიყავით აღვსილნი, როცა მოედანზე მწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ ახალგაზრდები, რომელთაც წინ მოუძღოდა დროშა წარწერით „სსრკ".

იმ დღეს მთელი ქალაქი იწვოდა ფეიერვერკის ჩირაღდნებისა და ილუმინაციის ცეცხლში. მსოფლიოს სიჭაბუკე ზეიმობდა სიხარულს, ბედნიერებას, მშვიდობას.

დაიწყო შეჯიბრება. მე, როგორც მის მონაწილეს, ნაკლები შესაძლებლობა მქონდა მენახა სხვა სახეობანი, მაგრამ თავისუფალ ჭიდაობაში ასპარეზობას თვალს ვადევნებდი თავიდან ბოლომდე.

მძიმე წონაში 7 მონაწილე ვიყავით, ჩემი მოწინააღმდეგეები ყველა მეტად ძლიერი, გამოცდილი მოჭიდავე იყო. პირველად შევხვდი ჩეხოსლოვაკელ რუჟიჩკას, ეს გოლიათი 139 კილოს იწონის. მისი გეგმა პირველივე წუთზე ცხადი გახდა — რუჟიჩკას უნდოდა თავისი მასით და ღონით შევებორკე და დავეჯაბნე. მეორე წუთზე იგი ჯიქურ წამოვიდა, ხელები ზევიდან დამაწყო მხრებზე, მაგრამ მე მოვასწარი ჩაჯდომა და სწრაფად უკან გადმოვიტანე მეტოქე ჩოქბჯენში. მართალი გითხრათ, ძლიერ გამიჭირდა ვეება მოჭიდავესთან ფანდების ჩატარება, თუმცა აქტიურობა ჩემს მხარეს იყო, განსაკუთრებით ბოლო სამ წუთში. გავიმარჯვე ქულებით. ეს იყო ძნელი გამარჯვება და როცა ხალიჩიდან გავდიოდი, პირველმა ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ნ. რომანოვმა მომილოცა.

მეორე შეხვედრა პოლონელ სოსნოვსკისთან მქონდა. ამ ახალგაზრდა მოჭიდავეს მე არ ვიცნობდი. იგი შედარებით მსუბუქი და სწრაფი ჩანდა, მაგრამ შევები თუ არა, ვიგრძენი, რომ სოსნოვსკის ძალაც არანაკლები ჰქონდა. ამიტომ წინასწარ შემუშავებული ტაქტიკური გეგმის შეცვლა დამჭირდა. საჭირო იყო სულ სხვა ფანდების გამოყენება. პოლონელი რამდენჯერმე მყავდა ჩოქბჯენში, კრიტიკულ მდგომარეობაში, მაგრამ ვერაფრით ვერ შევძელი მისი ბეჭებზე დადება. გავიმარჯვე ქულებით.

თბილისელებს, ვინც ნახა ბულგარეთისა და საქართველოს გუნდების შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში, ემახსოვრებათ მათი მძიმე წონის მოჭიდავე მეჰმედოვი. მაშინ ჩვენი შეხვედრა ბულგარელის გამარჯვებით დამთავრდა, თუმცა ჭიდაობის შემდეგ ბევრი მეუბნებოდა — შენ არ წაგიგიაო. ასეა თუ ისე, მე ოფიციალური წაგება მქონდა მეჰმედოვთან და ახლა, ოქროს მედლისათვის ბრძოლაში, სულით და გულით ვიყავი მოწადინებული ამეღო რევანში.

ჭიდაობა ფიცხი შეტევით დავიწყე, ბულგარელი ამას არ მოელოდა და, ცოტა არ იყოს, დაიბნა. ერთხანს კონტრილეთებს ხმარობდა, მერე ხალიჩიდან გასვლა დაიწყო, რისთვისაც გაფრთხილება მიიღო მსაჯისაგან. პირველი 6 წუთის შემდეგ ჩოქბჯენში დადგომამ პირველად მე მომიწია. მეჰმედოვი დამაწვა ზევიდან, რამდენჯერმე სცადა კისერზე მოევლო ხელები — არ დავანებე. მერე ფეხებს წვდა, არც ამ ფანდმა გაუჭრა. ბოლოს ჩემმა მეტოქემ წელზე სცადა მოვლების განხორციელება, მაგრამ მოვიგდე მისი ხელი, შემოვაჭდე ფეხები და მხრის მოულოდნელი დაქნევით ხიდურზე გადავიყვანე. ცოტაც და მეჰმედოვი ბეჭებზე იწვა. ფესტივალის ჩემპიონის წოდება თავისუფალ ჭიდაობაში მძიმე წონის ატლეტთა შორის მე მხვდა წილად. მეჰმედოვმა დაიკავა მეორე ადგილი. სოსნოვსკიმ — მესამე.

უდიდესი წარმატება ხვდა წილად უმჩატესი წონის „უგვირგვინო მსოფლიო ჩემპიონს" მირიან ცალქალამანიძეს. ძლიერი მოწინააღმდეგე ჰყავდა მას იაპონელი იაკოიამას სახით. როცა გათავდა ჩოქბჯენში შენაცვლებითი ჭიდაობის დრო, ორივე მოჭიდავეს თითქმის ქულათა თანაბარი რაოდენობა ჰქონდა. დარჩა სამი წუთი. ცალქალამანიძე მიუახლოვდა იაპონელს, სწრაფად გაუკეთა ცრუ მოძრაობა, დაიჭირა შუასარმაზე და თვალის დახამხამებაში ხალიჩაზე ბეჭებით დასცა. პოლონელ კლეიპთან მირიანს ფაქტიურად არც უჭიდავია — წამები იყო გასული შებმის დასაწყისიდან და კლეიპი ბეჭებით იწვა ხალიჩაზე.

საინტერესო იყო ცალქალამანიძის შეხვედრა ხოლიასტელხთან (ირანი). მართალია, ცალქალამანიძემ შეხვედრა ქულებით მოიგო, მაგრამ უპირატესობა მას დიდი ჰქონდა. 15 წუთის განმავლობაში ათრევდა მირიანი ირანელს ხალიჩაზე და მთელი ამ ხნის მანძილზე მისი გუნდის სხვა წევრები ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ და ამხნევებდნენ ამხანაგს. ერთი მათგანი ისე თავგამოდებით ყვიროდა, რომ მაყურებელთა საერთო ყურადღება მიიქცია. ცალქალამანიძეს ტაშის გრიალში გადაეცა ოქროს მედალი.

კარგად დაიწყო შეჯიბრება გ. სხირტლაძემ (საშუალო წონა). რამდენიმე გამარჯვების შემდეგ იგი შეხვდა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს კაცურამოტოს, რომელმაც მანამდე მოუგო მსოფლიო ჩემპიონს აბას ზანდის (ირანი). უაღრესად დაძაბულ, მწვავე ბრძოლაში ჩატარდა მთელი 12 წუთი. დარჩა გადამწყვეტი 3 წუთი. სხირტლაძემ უცბად გამოსდო სარმა მეტოქეს და იაპონელი წაიქცა, წაიქცა, მაგრამ მყისვე წამოხტა და თვითონ შეუტია. უკანასკნელ წუთს სხირტლაძემ კვლავ იხელთა მომენტი და ჩოქბჯენში გადაიყვანა კაცურამოტო. ამან გამარჯვება მოუტანა ქართველ მოჭიდავეს.

სხირტლაძისა და ზანდის შერკინება დაიწყო მსოფლიო ჩემპიონის შეტევით, მაგრამ წააწყდა რა მედგარ წინააღმდეგობას, ირანელი შეშინდა. ვერც ერთმა მოწინააღმდეგემ ვერ შეძლო ილეთის ჩატარება პირველ 6 წუთში. ჩოქბჯენში ზანდიმ ვერაფერი გააკეთა. ახლა ზევიდანაა სხირტლაძე. მან ირანელის ფეხები თავის ფეხებში მოიქცია, ხელებით მოდრიკა მისი კისერი და დააწვა. დარბაზში აუწერელი ხმაური იდგა. ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა ირანელთა საქციელმა, ისინი აცვივდნენ ხალიჩაზე, ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ. მსაჯებმა დიდი გაჭირვებით შეძლეს მათი დაშოშმინება და შებმის გაგრძელება. ზანდიმ ძალების დიდი დაძაბვით შეძლო ჩოქბჯენის დროის ბოლომდე მიყვანა. ბოლო სამ წუთში ორივე ძლიერ დაიღალა და ფანდი აღარ ჩატარებულა, თუმცა ირანელი ცდილობდა ფიქტიური აქტიურობის შთაბეჭდილება შეექმნა.

მსაჯებმა გამარჯვება სხირტლაძეს მისცეს, მაგრამ 10 წუთის შემდეგ გადაწყვეტილება შეცვალეს და გამარჯვებულად ზანდი გამოაცხადეს. ამან უკმაყოფილება გამოიწვია მაყურებლებში.

ფესტივალის ჩემპიონობა წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს ცალქალამანიძემ (სსრკ), იაგუბიმ (ირანი), სასახარამ (იაპონია), კუცინსკიმ (პოლონეთი), დადაშევმა (სსრკ), ზანდიმ (ირანი), კულაევმა (სსრკ), კანდელაკმა (სსრკ).

ჩვენს ბანაკში რამდენჯერმე იყვნენ სტუმრად სხვა სახელმწიფოთა დელეგაციები. გვეწვივნენ ამერიკელები, ფრანგები, ესპანელები, ჩინელები, ინდოელები. ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრები. არასოდეს არ წაიშლება ჩვენი მეხსიერებიდან მაშინ მიღებული შთაბეჭდილება. ვისხდით მათთან, ვსეირნობდით, ვსაუბრობდით. დიახ, ვსაუბრობდით. მართალია, ენა არ გვესმოდა ერთმანეთის, მაგრამ ხელებით, მიმიკით, თვალებით ყველაფერს ვაგებინებდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, თუ ადამიანს სურვილი აქვს ყურად იღოს ადამიანის გულისთქმა, იგი უენოდაც კარგად გაუგებს მას. მახსოვს, როცა ამერიკელები ჩასხდნენ მანქანებში და უკან ბრუნდებოდნენ, ერთმა თავი გამოყო ფანჯარაში და დამტვრეული რუსულით დაიძახა — გაუმარჯოს მეგობრობასო.

ვარშავის დაუვიწყარი დღეები თან წაიყოლია ფესტივალის ყოველმა მონაწილემ. ისინი ჩავლენ თავიანთ ქვეყნებში და მოუთხრობენ ნაცნობ-მეგობრებს, თუ რაოდენ დიდია მსოფლიოს ახალგაზრდობის ლტოლვა ურთიერთგაგებისაკენ, თუ რა საიმედო ხელშია მშვიდობის დიდი საქმე.

• • •

სურათებზე: ზევით — ზეტხაური (სსრკ, მარცხნივ), სინკლერი (რუმინეთი) და კანეკე (იაპონია). ქვევით — ბრაზილიელი [illegible] ხაბუქთა სპორტსმენებს შორის.



ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲔᲑᲘ

„Ა" ᲙᲚᲐᲡᲘ

მდგომარეობა 21 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" მ.	18	13	4	1	44:13	30
ცდსა	16	9	6	1	26:10	24
„სპარტაკი" მ.	16	11	2	3	38:18	24
„ლოკომოტივი"	18	6	7	5	27:23	19
„ტორპედო"	15	5	7	3	19:19	17
„დინამო" კ.	16	6	5	5	22:24	17
„დინამო" თბ.	18	6	3	9	23:30	15
„ზენიტი"	17	4	6	7	18:28	14
„შახტიორი"	17	2	8	7	18:29	12
„შრ. რეზერ".	19	3	6	10	24:37	12
„კრ. სოვეტ".	16	3	4	9	15:29	10
„სპარტაკი" მნ.	18	2	6	10	12:26	10

ᲓᲣᲑᲚᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" მ.	16	13	1	2	32:13	27
„დინამო" თბ.	18	12	3	3	41:17	27
„დინამო" მ.	18	10	3	5	31:16	23
ცდსა	16	9	3	4	27:13	21
„შრ. რეზერ".	19	7	6	6	30:24	20
„ლოკომოტივი"	18	6	5	7	21:36	17
„დინამო" კ.	16	6	4	6	23:20	16
„სპარტაკი" მნ.	18	4	6	8	12:17	14
„შახტიორი"	17	5	4	8	18:27	14
„ტორპედო"	15	4	3	8	25:25	11
„კრ. სოვეტ".	16	4	1	11	15:43	9
„ზენიტი"	17	1	3	13	14:38	5

„Ბ" ᲙᲚᲐᲡᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲖᲝᲜᲐ

მდგომარეობა 21 აგვისტოსათვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" ერ.	18	10	6	2	24:7	26
ოფ. სახლი სვ.	18	12	2	4	33:12	26
ოფ. სახლი თბ.	18	11	4	3	37:15	26
„ნეფტიან". ბაქ.	18	9	4	5	35:21	22
„ტორპედო" გ.	18	9	4	5	30:19	22
„ნეფტიან". კრ.	18	9	4	5	37:26	22
ქ. ვორონეჟი	18	8	6	4	24:20	22
„ტორპედო" რ.	19	6	5	8	21:36	17
ქ. კალინინგრ.	18	5	6	7	13:18	16
ქ. მოლოტოვი	18	4	7	7	15:24	15
„უროჟაი" ალმა-ატა	18	5	5	8	13:20	15
„ტორპედო" სტ.	18	5	4	9	26:30	14
„ავანგარ". სვ.	18	4	5	9	22:31	13
„ავანგარ". ჩელ.	19	5	3	11	19:41	13
„სპარტ". ტაშ.	18	3	6	9	17:29	12
„ენერგია" სარ.	18	1	7	10	10:26	9

ᲭᲐᲑᲣᲙᲗᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). „დინამოს" მცირე სტადიონზე გრძელდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრების ფინალური მატჩები.

გათამაშების მეორე კალენდარულ დღეს ცენტრალურ მატჩს წარმოადგენდა საქართველოსა და უკრაინის გუნდების შეხვედრა. უკრაინელებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება. მოსკოვისა და ლიტვის ფეხბურთელთა მატჩი დამთავრდა პირველთა სასარგებლოდ, ანგარიშით 3:0.

მესამე ტურში მორიგი გამარჯვება მოიპოვეს უკრაინის ჭაბუკებმა. მათ მინიმალური ანგარიშით — 1:0 მოუგეს მოსკოვის ნაკრებს და 6 ქულით განაგრძობენ ლიდერობას.

საქართველოს გუნდი შეხვდა რსფსრ-ს ნაკრებს. ქართველმა ფეხბურთელებმა ამ თამაშში გაიტანეს 4 ბურთი, რომელთაგან ერთი საკუთარ კარში აღმოჩნდა. მათ მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 3:1.

გ. ანთაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს გუნდის მწვრთნელი.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ" (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)

გუშინ, 20 აგვისტოს მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივის" და თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის საარის სასტვენისთანავე თბილისელთა კარზე კრიტიკული მდგომარეობა შეიქმნა, მაგრამ [illegible] ენერგიული თამაშით [illegible] შეტევები მოიგერიეს. მალე მოედნის ცენტრს დაეუფლნენ თბილისელები. უკვე მე-8 წუთზე მოწინააღმდეგის [illegible] ლოლობერიძე და ძლიერად დაარტყა მაღალ კუთხეში. მეკარე კუბრიცკიმ ვერ შეძლო ბურთის აღება. 23-ე წუთზე მოსკოველთა ერთ-ერთი იერიშის დროს ბურთი გატანილ იქნა თბილისელთა კარში. გვერდითმა მსაჯმა დროულად აღნიშნა მოსკოველთა თამაშგარე მდგომარეობა, მაგრამ მსაჯმა საარმა გადაწყვეტილება არ შეცვალა. [illegible]

[illegible] ვიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად მოექცნენ ლოლობერიძეს, დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო. ლოლობერიძემ ვერ შეძლო ანგარიშის გათანაბრების ამ ნაღდი შესაძლებლობის გამოყენება.

შეხვედრის მეორე ნახევარი გარკვეული უპირატესობით ჩატარდა, [illegible] არ შეცვლილა. მატჩი მოიგო მოსკოვის „ლოკომოტივმა" — 1:0.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა შეხვედრა [illegible]

მამელუქთა ისტორიიდან

◆

ა. ცამციშვილი

◆

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში ახლო და შუა აღმოსავლეთში არც ერთი მოგზაური არ ყოფილა, რომ ყურადღება არ მიექცია მრავალფეროვან სამხედრო ვარჯიშებსა და განსაკუთრებით მხედართა გაწაფულობისათვის. ეგვიპტისა და ერაყის მკვლევარნი მოუხიბლია წმინდა სისხლის არაბულ მერნებზე ამხედრებულ მოჯირითეთა გუნდებს, რომლებიც გიზეს გრანდიოზულ პირამიდების ფონზე, თუ ყაირის იპოდრომზე მომაჯადოებელი ოსტატობით ასპარეზობდნენ.

რომელი ერის წარმომადგენლები იყვნენ ეს ჩაუქი ცხენოსნები, დიდი სასულთნოსა თუ სხვა რომელიმე ქვეყნის შვილები? ამ გამობრძმედილ მხედრებს ბევრი ალბათ არაბებად ანდა ახლო და შუა აღმოსავლეთის სხვა რომელიმე მაჰმადიანური სახელმწიფოს წარმომადგენლებად მიიჩნევდა, რაც რა თქმა უნდა, მცდარია.

ისინი იყვნენ მამლუქები, რომელთა შესახებაც ნაპოლეონმა თავის მემუარებში აღნიშნა:

„მრისხანე მამლუკები, მთელს აღმოსავლეთში შიშის ზარს სცემდნენ და ამავე დროს პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებდნენ. ჩვენ დრომდე მათი ცხენოსანი რაზმები უძლეველად ითვლებოდნენ... არა მგონია, რომ არსებობდეს რაიმე სიძნელე, რომელსაც მე ვერ დავძლევდი ამ ერთი მუჭა, სხვადასხვა ადგილებიდან ნარჩევ თავზეხელაღებულ ხალხთან ერთად“.



მამლუქების წარმოშობის ისტორია მოკლედ ასეთია: ეს-სალიჰმა, რომელიც ეგვიპტეს 1240-1249 წლებში მართავდა, ჯერ კიდევ 1230 წელს ბრძანა მონღოლთაგან ლტოლვილ თუ აზიის ბაზრებზე გაყვანილ ურიცხვ ტყვეთა ნაკადიდან შეეგროვებინათ ან ეყიდათ 12.000 ყრმა-ჭაბუკი (უმთავრესად ჩერქეზები, მეგრელები, აფხაზები) და გაეწაფათ მხედრულ ხელოვნებაში.

1250 წელს ემირ აიბეგის მეთაურობით მამლუქებმა მოკლეს აიუბიდების დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი ტურან-შაჰი და ეგვიპტის ბატონ-პატრონები გახდნენ. 1382 წლამდე მამლუქებს მეთაურობდნენ ბაჰრიელები, ხოლო 1382 წლიდან 1517 წლამდე ბურჯელები, რომლებიც თანამედროვე მკვლევართა აზრით ძირითადად ქართველებს წარმოდგენდნენ.

ახლო და შუა აღმოსავლეთში მამლუქთა ძლიერება ყოველწლიურად იზრდებოდა. ყოველდღიური ვარჯიშით და ასპარეზობებში გამობრძმედილი კავკასიელები შიშის ზარს ცემდნენ მეზობელ სახელმწიფოებს. მაგრამ 1516 წელს ოსმალთა სულთან სელიმმა მამლუქები დაამარცხა და 1517 წლის დასაწყისში ეგვიპტე დაისაკუთრა. დიპლომატიური და შორსგამიზნული მოსაზრებებით სელიმმა ეგვიპტეში დასვა თავისი მორჩილი ფაშა, რომელიც მამლუქთა ცხენოსან ძალას ეყრდნობოდა

როდესაც საქართველო მონღოლებისა და სამხრეთელი ბაში-ბუზუკების განუწყვეტელი სათარეშო გახდა, ლტოლვილი, გასაჩუქრებული, მოტაცებული, თუ გაყიდული ქართველი ბავშვებით აივსო სტამბოლის, ბაღდადის, ქაიროსა და სხვა ქალაქების მონათა სავაჭროები.

მრავალ ათას ტყვეთა შორის ქაიროს ბაზარზე გაიყიდა ქართველი ყრმა, რომელიც შემდეგ 12-14 წლის ასაკში ქართველ მამლუქთა ბელადს იბრაჰიმ ქაჰიას უბოძეს. XVIII საუკუნის შუა პერიოდის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის, ტომით ქართველის იბრაჰიმის კარზე დავაჟკაცდა და გამოიბრძმედა შემდგომში მთელს აღმოსავლეთში ალი-ბეიდ ცნობილი ქართველი ვაჟკაცი. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოგზაური და მკვლევარი ვოლნეი ამ მამაც მამლუქზე მოგვითხრობს: „მისი აღზრდა ჩვეულებრივიდან არ გამოირჩეოდა. იგი ეუფლებოდა ცხენოსნობას, დამბაჩიდან სროლას, ჯირითის ტყორცნას, ხმლის ხმარებას და წერა-კითხვასაც“.

ცხენოსნურ ვარჯიშებსა და ასპარეზობებში ალი-ბეი ისეთ სასწაულებს ჩადიოდა, რომ მას ჯანდალი ანუ ანცი უწოდეს. 18-20 წლის ასაკში იგი ეგვიპტის 24 ბეის შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა და როდესაც 1755 წელს იბრაჰიმი მოჰკლეს სწვათა შორის შეიხ-ელ ბელედად (მთავარ ბეიდ) არჩეულმა ალიმაც დაიწყო ზემდგომი პოსტის ძიება. ქაიროში მან ერთ ღამეს მოჰკლა 4 მოწინააღმდეგე ბეი, ამდენივე გადაასახლა და მამლუქთა მეთაური გახდა. შემდეგ ისარგებლა რა რუსეთ-ოსმალეთის 1768-74 წლების ომით, ალი-ბეიმ გააძევა ეგვიპტიდან ფაშა. 1770 წელს იგი ეგვიპტის სულთანად იქნა გამოცხადებული.

მამლუქების ბელადი განსაკუთრებით მხედრული ოსტატობით იყო ცნობილი. იგი შეუდარებელ მოჯირითედ, მოფარიკავედ, მობურთალად, მსროლელად და ჯირითის მტყორცნელად ითვლებოდა. ვოლნეი შენიშნავს: „უბედურება ეწეოდა იმას, ვინც ალი-ბეის ნაკრავ ჯირითს ვერ აიცდენდა“. ალი-ბეის მსგავსად გაარეს მამლუქთა საცხენოსნო სკოლა ქართველებმა: ისმაილ-ბეიმ, მურად-ბეიმ, იბრაჰიმ-ბეიმ, ოსმან-ბეიმ, ელფი-ბეიმ და სხვებმა.

ქართველ მამლუქებს თავდავიწყებით უყვარდათ ცხენები, რომლებსაც უდიდესი გემოვნებით ჰკაზმავდნენ და ძვირფას სამოსზე უძვირფასესი იარაღით შეჭურვილნი ამაყად დანავარდობდნენ ნილოსის ნაყოფიერსა, თუ ვერან ტრამალებზე. მათ არაბულ მერნებს იმ დროისათვის ფანტასტიკური (200-300 ლუიდორი) ფასი ჰქონდა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თვითეული მამლუქის გამარჯვება უპირველესად ყოვლისა ცხენის გამარჯვება იყო და მაშასადამე მოგებული ბრძოლების მოზიარენი მათი ბედაურებიც იყვნენ. ბრძოლებში, ვარჯიშებში, გაჭირვებასა და ლხინში განუყრელი პირუტყვი — ცხენი მეგობრად მიაჩნდათ, მათრახს არ აკარებდნენ, ისე უფრთხილდებოდნენ, როგორც თვალისჩინს.

ქართველი მამლუქები ძვირფასი იარაღისადმიც ისეთ სპეციფიურ ტრფიალებას იჩენდნენ, რომელიც მხოლოდ კავკასიაში გაზრდილებს ჩვევიათ. ისინი არაფერს ზოგავდნენ იმისათვის, რათა იშვიათად და ორიგინალურად ყოფილიყვნენ აღჭურვილნი ისეთი ძვირფასი იარაღებით, რომლებიც ცხენოსანს შეეფერებოდა. მაგალითისათვის ისიც კმარა, რომ ალი-ბეიმ ერთ იშვიათ ხანჯალში 25 ათასი ლივრი გადაიხადა. ძვირფასა თვლებით მოჭედილი ამ განძის მხოლოდ ტარი თავისი სიდიადით ისე ანცვიფრებდა ოქრო-მჭედლებს, რომ ალი-ბეის სიკვდილის შემდეგ ეს უნიკალური ნივთი 200.000 ლივრად შეაფასეს. მამლუქების ცხენთა მოკაზმულობაც ოქრო-ვერცხლითა და ძვირფასი თვლებით იყო გაწყობილი.

მხედრული გაწაფვისა და გულადობის შესახებ ეგვიპტის კარგი მცოდნე კლოტ-ბეი აღნიშნავდა:

„მამლუკები განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ცხენოსნობაში. იმ წაუბაძველმა ხელოვნებამ, რომელსაც ისინი ელვისებური ჭენებისას თავიანთი იარაღით ასრულებდნენ და იმან, თუ როგორ აძულებდნენ ისინი თავიანთ ცხენებს შეესრულებინათ სწრაფი და ძნელი ბრუნები, მსოფლიოში უბადლო ცხენოსნების სახელი მოუხვეჭათ“.

მამლუქთა ძლიერება განპირობებული იყო საბრძოლო საშუალებების სრულყოფილი დაუფლებით, ცხენოსნობაში ხანგრძლივი ვარჯიშებით და მხედრულ ხელოვნებაში საფუძვლიანი დაოსტატებით. მამლუქები ელვის სისწრაფით მიუხტებოდნენ მოწინააღმდეგეს, დაახლიდნენ თოფ-დამბაჩებს, სწრაფად მოტრიალდებოდნენ, ცხენდაცხენ ტენიდნენ იარაღს და იერიშს კვლავ იმეორებდნენ. ამ ტალღისებური იერიშებით მამლუქებს პანიკა შეჰქონდათ მოწინააღმდეგეთა რიგებში, დიდ ზიანს აყენებდნენ მათ და თითქმის უდანაკლისოდ ბრუნდებოდნენ უკან. ნაპოლეონის მიერ გენ. ბერტრანდისადმი ნაკარნახევ მემუარებში ქართველი მურად-ბეის მამლუქების შესახებ ვკითხულობთ:

„მაჯაზე ხმალ ჩამოკიდებული მამლუქი ისროდა თავის კარაბინიდან, დამბაჩიდან და ოთხი პისტოლეტიდან. დაცლიდა რა იგი 6 ცეცხლმსროლელ იარაღს, გვერდს აუქცევდა მოწინავე მსროლელთა გუნდებსა და თავზარდამცემი სიჩქარით გადიოდა მათსა და სახაზო მსროლელთა შორის“.

(გაგრძელება იქნება)

„მამლუქუნ“ არაბული სიტყვაა და ქართულად, როგორც ეს პროფესორ გ. წერეთელს არაბულ-ქართულ ლექსიკონში აქვს განმარტებული, ნიშნავს ვინც (რაც) ვისიმე მფლობელობაშია; მონა, ყმა, მამლუქი.

შეჯიბრება ველოსპორტში

გურჯაანში მოეწყო ველოსიპედისტთა შეჯიბრება, რომელშიც რაიონის 14 უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ვ. ჩალათაშვილმა (ცარდანახი), რომელმაც 15 კილომეტრი გაიარა — 26.58,0. მეორე ადგილზე გამოვიდა ველისციხელი ა. ყორღანოვი, ხოლო მესამეზე — ე. კირვალიძე (ვეჯინი).

ი. ოდიშელიძე

საზღვაო მრავალჭიდში

მოსკოვის მახლობლად, ხიმკინსკის წყალსაცავში შვიდ დღეს გრძელდებოდა ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრება საზღვაო სპორტულ მრავალჭიდში დოსააფის პირველობაზე.

საქართველოდან შეჯიბრებაში მონაწილეობდა სოხუმის დოსააფის კლუბის გუნდი. გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ ლენინგრადის წარმომადგენლები, მეორეზე უკრაინის, ხოლო მესამეზე — მოსკოვის სპორტსმენები. საქართველოს გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა. საქართველოს წარმომადგენლებს წარმატება ხვდათ პირად ჩათვლაში. 1.000 მეტრზე ნიჩბოსნობასა და აფროსანთა კლასიკურ რბოლაში მათ პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო კომპლექსურ ცურვაში 100 მეტრზე და ამანათცურვაში 4×50-ზე — მესამე ადგილები.

ა. ლავრენტიევი

სურათზე: სოხუმელთა აფრიანი ნავი დისტანციაზე.

მექანიზატორთა და კოლმეურნეთა შეჯიბრება

ჩუმლაყის (გურჯაანის რაიონი) საჭიდაო სარბიელზე გაიმართა სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ველისციხის სკოლისა და ჩუმლაყის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მოჭიდავეთა ამხანაგური შეხვედრა. ქართული ჭიდაობის კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს კოლმეურნე სპორტსმენებმა თ. გაფრინდაშვილმა, შ. და რ. რუაძეებმა, გ. ჯოხაძემ. მექანიზატორთა შორის კარგი მომზადება გამოამჟღავნეს ე. მტეკლაშვილმა, ვ. მაისურაძემ, შ. ქიტიაშვილმა.

თ. გოგიაშვილი

ზონალური სპარტაკიადა

ქუთაისში ერთ კვირას გრძელდებოდა სოფლის ფიზკულტურელთა ზონალური სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქუთაისის, ამბროლაურის, ცაგერის, წულუკიძის, თერჯოლის, ზესტაფონის, მაიაკოვსკის, ჭიათურის, ორჯონიკიძის, ონის, საჩხერისა და სხვ. რაიონები.

ფრენბურთში ვაჟთა შორის გაიმარჯვა ცაგერის კოლექტივმა, მძლეოსნობაში პირველი ადგილი დაიკავეს მაიაკოვსკის სპორტსმენებმა, ხოლო სროლაში — ამბროლაურის გუნდმა.

ი. ბუხაიძე

აფხაზეთის ჩემპიონატი

24 ივლისიდან 11 აგვისტომდე ტყვარჩელში მიმდინარეობდა 1955 წლის აფხაზეთის პირადი პირველობა ჭადრაკში. ტურნირში მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ პირველი ადგილი და აფხაზეთის ჩემპიონის სახელი დაიმსახურა პირველთანრიგოსანმა ი. დმიტრიევმა (სოხუმი), რომელმაც ყველა შეხვედრა ძლიერად ჩაატარა და 13 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვა. მეორე და მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს ა. კუხინავამ (ოჩამჩირის რაიონი) და ო. ცირდავამ (სოხუმი).

ტყვარჩელის წარმომადგენელმა რ. შენგელიამ და ბ. კაპინჩენკომ II თანრიგის ნორმა ჩააბარეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ტურნირი ორგანიზებულად ჩატარდა, რასაც ხელს უწყობდა მთავარი მსაჯის ბ. ბლიხოვის (სოხუმი) კეთილსინდისიერი მუშაობაც.

ხ. ტაბიძე

პროფესიონალიზმი შვეციის ფეხბურთში

ხანგრძლივი დებატების შემდეგ, შვეციის „ა“ კლასის ფეხბურთელთა გუნდები, აღიარებულ იქნენ როგორც პროფესიონალები. ყოველი ახალი წლის 3 აპრილიდან ნოემბრამდე გუნდის წევრები მიიღებენ ხელფასს და გასამრჯელოს თამაშისათვის. ფეხბურთელის ხელფასი თვეში დაახლოებით 500 კრონი იქნება. ყოველი მოგებული საერთაშორისო შეხვედრისათვის სპორტსმენი მიიღებს 200 კრონს. ჩემპიონობისათვის თვითეული ფეხბურთელი ჯილდოვდება 1.000 კრონით. მეორე ადგილისათვის — 500 კრონით და მესამესათვის — 200 კრონით, „ფეხბურთის კავშირი“ გუნდის წევრებს მოგებული თამაშისათვის ცალკე გადაუხდის 500 კრონს და 250 კრონს ყაიმისათვის.

«ტექნიკური ცენტრი»

ახლო მომავალში, ფლორენციაში გაიხსნება სპორტულ ნაგებობათა კომპლექსი, ე. წ. „ტექნიკური ცენტრი“, სადაც იწარმოებს იტალიის ფეხბურთისათვის კადრების მომზადება. სპეციალური აგენტები, რომლებიც მოფენილნი იქნებიან ქვეყნის სხვადასხვა რაიონში, შეარჩევენ ახალგაზრდა ფეხბურთელებს და გამოაგზავნიან მათ „ტექნიკურ ცენტრში“.

ნორჩი ფეხბურთელები განაწილებული იქნებიან სამ ასაკობრივ ჯგუფებში. 12-14 წლის ჭაბუკები მიიღებენ „შეჯიბრების წინა“ მომზადებას. „შეჯიბრების პერიოდს“ გაივლიან 2 ასაკობრივი ჯგუფის სპორტსმენები: — 14-16 და 16-18 წლიანები.

ფეხბურთელები ისვრიან შვილდისრიდან

ჩილის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ყოველდღე ორი საათის განმავლობაში ვარჯიშობს შვილდისრიდან სროლაში. როდესაც ასეთი ვარჯიშის შედეგი ნახეს და შეისწავლეს სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის სპეციალისტებმა, გადაწყვიტეს შემოეღოთ იგი თავიანთ ქვეყნებშიც.

სამხრეთ ამერიკიდან შვილდისრით ვარჯიში გადაიღეს დასავლეთ ევროპაშიც. ამჟამად მსოფლიოს ბევრი ქვეყნის გუნდი თვალზომის, სიზუსტის და სხვა თვისებათა გამოსამუშავებლად შვილდისრიდან სროლაში ვარჯიშობენ.

რედაქტორი ი. უზულავა.

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორისა — 8.89.62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 8.90.34, მიღებისა და გამომშვებისა — 8.38.25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 03989